პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 იანვარი, კვირა, 1989 წ.
№ 20 (9989) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲜᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲐ: ᲡᲔᲠᲘᲐ 080700974 Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲘᲡᲘ „ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲠᲔᲜᲐᲟᲘᲡ“ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ.

გუშინ, თბილისში, გაიმართა „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის დამფუძნებელი კონფერენცია. კონფერენციაზე ინფორმაციით გამოვიდნენ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯ. მიქელაძე და გუნდის უფროსი მწვრთნელი დ. ყიფიანი. კონფერენციამ დაამტკიცა დებულება და აირჩია საბჭო, რომელიც ორ კვირაში დაახასიათებს კლუბის პრეზიდენტს.

კლუბში გაერთიანების მსურველებს ვაცნობებთ, რომ რესპუბლიკის რეგიონებიდან საწევროს გადასახადის ქვითრები უნდა გაიგზავნოს მისამართით: თბილისი — 380059. დიმის მასივი. „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი. უჩვენეთ თქვენი მისამართი, გვარი, სახელი და მამის სახელი. პირადობის მოწმობებს და სამკერდე ნიშნებს მიიღებთ მისამართზე. თბილისელებისთვის ქვითრების წარდგენის დრო ცალკე გამოცხადდება.

თბილისის XXVIII საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

სანახაობრივი რომ გახდეს...

ოლიმპიური თამაშების შემდეგ თბილისის საერთაშორისო ტურნირის შემადგენლობა, როგორც წესი, სანახევროდ, თუ მეტით არა, იცვლება. ახალ ოლიმპიურ ციკლს, ტრადიციულად, ახალი ტენდენციები და იდეები მოაქვს, რომელთა განხორციელებასაც ახალი, ჯერ გამოუცდელი, მაგრამ საიმედო ძალა სჭირდება. ერთი სიტყვით, განახლება ზდება ყველგან, ყველა ქვეყანაში და ცხადია, ჩვენს ნაკრებ გუნდებშიც, რომლებიც თბილისის ტურნირებში მუდამ კანდიდატთა სიმრავლით გამოირჩევა.

წლევანდელ ასპარეზობაშიც ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელობა გამოცდას ასზე მეტ მოჭიდავეს უტარებს, ოცდაათამდე ათლეტითაა წარმოდგენილი საქართველოც, მაგრამ ოლიმპიელები მათ რიცხვში თითქმის არ არიან: ისინი ჯერ კიდევ სარგებლობენ დასვენების კანონიერი უფლებით, თუმცა სერგეი კარამჩაკოვმა (48 კგ) და ვლადიმერ თოგუზოვმა (52 კგ) მაინც გადაწყვიტეს თბილისის სარბიელზე გამოსვლა.

სანამ პირველი დღის შთაბეჭდილებებზე ვიტყვით, ერთ, არც თუ უმნიშვნელო ფაქტს გვინდა გავუსვათ ხაზი. ტურნირი ტარდება ფილა-ს (საერთაშორისო ფედერაციის) ოლიმპიური კონგრესის მიერ დამტკიცებული ცვლილებებით, რომელიც ძალაში წელს, 1 იანვრიდან შევიდა. ცვლილებები, რომლებიც შეტანილია საერთაშორისო წესების რვა პარაგრაფში, უმთავრესად ერთ ამოცანას ისახავს მიზნად: გახდეს ჭიდაობა უფრო ეფექტური, ლამაზი, სანახაობრივად საინტერესო და მიმზიდველი. სწორედ ამის გამო განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი პასიური ჭიდაობის განსაზღვრას და იმ სანქციებს, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ ასეთ შემთხვევებში არბიტრებს.

ახალი წესების სიმკაცრემ ცხადია გარკვეული დაღი დაასვა ორთაბრძოლების ხარისხს, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ჭიდაობა ერთბაშად უფრო საინტერესო და სანახაობრივი გახდა. ასეთი რეფორმის განხორციელება ერთი ხელის მოსმით მართლაც ძნელია, მაგრამ გაუმჯობესების ტენდენცია მაინც შეიმჩნევა და დღეს-დღეობით ეს არის მთავარი.

თუმცა, თანამედროვე ჭიდაობაში ერთი ნეგატიური ტენდენცია დამკვიდრდა: ეს გახლავთ ტექნიკურ საშუალებათა ერთფეროვნება და გარკვეული სიღარიბე. დღეს, თითქმის უკლებლივ ყველა ორთაბრძოლა იწყება და მთავრდება ფეხებში შევარდნით. ამ უნივერსალურ ილეთს იყენებს ყველა მეტ-ნაკლები ეფექტითა და წარმატებით. სამწუხაროდ, იშვიათად ვხედებით დგომში ფეხებით მუშაობას, სხვადასხვაგვარ მოგვერდებს, კისრულებს... მოკლედ, ტექნიკური არსენალის ერთფეროვნება გარკვეულ დარს ასვამს ჭიდაობის ესთეტიკურ მხარეს და პი-

იხ. მე-2 გვ.

შოთა მირიანაშვილის ფოტო.

დიდება ღმერთს მაღლით:

„ამ... მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა აუშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ბინაზედ ვართ, — ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს...“

დავით აღმაშენებელი „წამოვიდა მსწრაფ აფხაზეთით თოვლითა საშინელითა, გარდაათხრევინა მთა ლიხისა, სადა გარდა ნუკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მხარე სამი“ (მემატიანე).

მნვერვალი დავით აღმაშენებელი

იხ. მე-2 გვ.



დავით აღმაშენებლის ზეობის 900 წლისთავისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი კიუდოში

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი ბიორგი ჩოჩიშვილი მინსკიდან ტელეფონით გვატყობინებს

ვინ იქნება პირველი?

სპორტში მოვლენები სწრაფად იცვლება. ჩვენი ქვეყნის ძიუდოისტთა ნაკრებს თითქოს საამედო რეზერვი ჰყავდა 86 კგ წონით კატეგორიაში, მაგრამ ახლა მინსკში მიმდინარე ქვეყნის ჩემპიონატის შემდეგ ყველაფერი თავიდან არის გადასახედი. საქმე ისაა, რომ დამარცხდნენ უპირველესი ფავორიტები — კრასნოიარსკელი მოჭიდავეები ვიქტორ პოდუბნი და ოლეგ მალცევი — და ორივენი ახალგაზრდა — 1969 წელს დაბადებულმა ახმეტელმა ფალავანმა დავით ბაგაურმა (მწვრთნელები — ბიძინა მაზიაშვილი და ტარიელ შათირიშვილი) დაჩაგრა. მან მესამე წრეში წმინდად მოუგო პოდუბნის, შემდეგ მესამე ადგილისათვის გამართულ მეტად უკომპრომისო ბრძოლაში მალცევსაც აჯობა.

ფინალში კი, როგორც უკვე იცით, ჩვენი გუნდიდან ბზა გაიკვლია გორელმა **ანზორ** თენაძემ — მუდამ უღიმღამო მოჭიდავემ, რომელმაც ბოლოსდაბოლოს გატეხა ნავსი და ოქროს მედლისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. მისი მეტოქე — მოსკოველი ვიტალი ბუდიუკინი არ ითვლება რამდენადმე გამოჩენილ მოჭიდავედ, მაგრამ იგი თენაძეს მუდამ უგებდა და, ყოველთვის ერთი და იგივე ხერხით — ჩოქბჯენში ჭიდაობით.

სწორედ ამ გარემოებამ დაამჩნია კვალი მათ ორთაბრძოლას. თენაძე ფრთხილობდა და ინიციატივა მეტოქეს დაუთმო, საქმე კი მაინც ჩოქბჯენში გადაწყდა. ბუდიუკინმა შეგობჯვით გაიმარჯვა და, საერთო შეფასებით, საკმაოდ მოულოდნელად მოიპოვა ოქროს მედალი, თენაძე (მწვრთნელი — იოსებ ფუხაშვილი) კი, რომელიც თბილისის არმიის სპორტული კლუბის სახელით გამოდის, პირველად გახდა საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. რაც შეეხება ვაჟანიას ქვეყნის ნაკრებში, მისი ძფლობელი ალბათ, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე გამოვლინდება.

ამ წონაში (86 კგ) საქართველოს კიდევ სამი სპორტსმენი ასპარეზობდა, მაგრამ, ზოდით, მათ გამოსვლას ხარცხად ნუ ჩაგვლით —

იხ. მე-4 გვ.



მწვერვალი დავით აღმაშენებელი

საქართველოს მთამსვლელთა ოდინდელი დიდი გამარჯვებები მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ჩვენი მთების სიახლოვით, მეორე მხრივ, ქართველ მთიელთა (სვანების, რაჭველების, მოხევეების, ხევსურების, თუშების) მთასვლური ჩვევებით, რომლებსაც ფესვები უხსოვარ დროში აქვს გადგმული.

ისტორიიდან მრავლად შეიძლება გახსენება ისეთი მაგალითებისა, რომლებიც დოკუმენტურად მოგვითხრობენ ჩვენი წინაპრების მთაში თუ მწვერვალებზე სიარულის გამოცდილებას.

დავით აღმაშენებლის თანამედროვე მემატიანე მოგვითხრობს ამბავს, თუ როგორ შემოესია საქართველოს თურქ-სელჩუკთა ლაშქარი.

იმ დროს დავითი, „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“, აფხაზეთში იყო დაზამთრებული. დავით აღმაშენებელი „წამოვიდა მსწრაფ აფხაზეთით თოვლითა საშინელითა, გარდაეთხრევინა მთა ლიხისა, სადა გარდა ნუკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მხარე სამი“.

ეს მაგალითი ახლა, დავით აღმაშენებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის 900 წლისთავის დღეებში, რაღა თქმა უნდა, შემთხვევით არ გაგვახსენებია.

1977 წლის ივლისის შუა რიცხვები იყო. საქართველოს ალპური კლუბის მთამსვლელთა დამხმარე ჯგუფის წევრები კავკასიონზე, ჭაუხების მასივის ძირში ვიყავით დაბანაკებულნი და ძირითადი გუნდის გამოჩენას ველოდით. იმ ძირითადი ჯგუფის წევრები, ექვსი კაცი, მარშრუტზე ერთი კვირის გასულები იყვნენ. მათ ჭაუხების მასივის მწვერვალთა ტრავერსი ჰქონდათ განზრახული.

ჭაუხების სტუმარს არა მხოლოდ მწვერვალთა მომხიბვლელობა, მათი სირთულეც აღაფრთოვანებს, მაგრამ მთები მაინც მთებია და ამიტომაც იყო, რომ იმ ექვსეულის მოლოდინში თვალი დაგვეღალა.

ჭაუხების მწვერვალებზე ასვლების დაწყებამდე ერთი მწყემსი გვესტუმრა, მოგვესალმა და აქ რამ ამოგიყვანათო, გვკითხა. როცა ჩვენი მიზანი შეიტყო, უფრო გაოცდა.

— აბა, ამ პიტალო კლდეებზე რა აგიყვანთ, — გვითხრა და პასუხს აღარ დაელოდა, ისე განაგრძო: — ძველად თურმე ჭაუხებზე ერთი მუხლმაგარი, მამაცი მონადირე სინდაურიძე ავიდა. ავიდა და ვეღარ ჩამოვიდა. ახლა იმ მწვერვალს სინდაურას ვეძახით.

— სინდაურიძის ამბავი ჩვენც გაგვიგონია, მაგრამ თქმულებაა თუ სინამდვილე, ეგ აღარ ვიცით. ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც ავალთ. — ვუპასუხეთ.

მეცხვარე უნდობლად შემოგვცქეროდა...

ოფიციალურად აღიარებულია, რომ ჭაუხები პირველად 1932 წელს ინგლისელმა მთამსვლელმა ქალმა იულია კამერონმა და მისმა მეგზურმა მოხევე ნიკო ქორიკაშვილმა დალაშქრეს. ისინი აღმოსავლეთი ჭაუხის დასავლეთი მწვერვალიდან მესამე პიკზე ავიდნენ.

კამერონმა იქ დატოვა თავისი სადარბაზო ბარათი, რომელიც 1952 წელს ალექსი ივანიშვილის ჯგუფმა ჩამოიტანა. ერთხანს ამ მასივზე სწორედ ეს მწვერვალი მიიჩნდათ უმაღლესად, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ყველაზე მაღალი სულ სხვა ყოფილა.

უმაღლესი მწვერვალი ჭაუხების მასივის მისადგომებიდან არა ჩანს და, ეტყობა, მისი აღმოჩენა ამიტომაც გაძნელდა (ეგ კი არა, ერთხელ ჭაუხების მასივს შეუღმფრენით რკალისებურად შემოვუფრინეთ და, თუმცა უმაღლესი მწვერვალის ადგილმდებარეობა ვიცოდით, მაინც ვერ დავინახეთ).

1977 წლის ლაშქრობამდე მწვერვალებიც უსახელო იყო.

და აი, იმ ტრავერსიდან დაბრუნებულმა მთამსვლელებმა — აგი აბაშიძემ, სერგო ბარლიანმა, შაქრო გაბისიანმა, დიმიტრი დანგაძემ, შოთა მირიანაშვილმა და ოთარ ხაზარაძემ უსახელო მწვერვალები მონათლეს.

— იმ განაპირა მწვერვალს, მარჯვნივ რომ არის აღმართული, ივანე ჯავახიშვილის სახელი ვუწოდეთ, მისგან მეორეს — გიორგი ლეონიძისა, მესამეს — ალექსანდრა ჯაფარიძისა, მეოთხეს — ლადო ასათიანისა, მეხუთეს, მთავარს ან საკვანძოს რომ უწოდებენ — ფიროსმანისა და ბოლოს, ყველაზე მაღალს — დავით აღმაშენებლისა. შემდეგ გავიარეთ სინდაურას კლდე და აღმოსავლეთი ჭაუხი.

ყველა გახარებული იყო, სერგო ბარლიანი კი აღტაცებას ვერ ფარავდა (სერგო 1981 წელს დაიღუპა. იგი ყოველწლიურად, 8 თებერვალს, დიდგორის ველზე თავშეყრის ინიციატორი გახლდათ. ამ საქმეში ყველა ნაცნობ-მეგობარი და ბევრი უცნობიც აიყოლია. იგი დიდხანს ნატრობდა, როცა ერთ კარგ დაულაშქრავ უსახელო მწვერვალზე ავალთ, პირველამსვლელთა უფლებით დავით აღმაშენებლის სახელი ვუწოდოთო).

ქართველ მთამსვლელთა ჯგუფი: მარცხნიდან — სერგო ბარლიანი, ოთარ ხაზარაძე, აგი აბაშიძე, შოთა მირიანაშვილი, დიმიტრი დანგაძე და შაქრო გაბისიანი, რომლებმაც ჭაუხების მასივის ტრავერსისას უსახელო მწვერვალს, პირველამსვლელთა უფლებით, დავით აღმაშენებელი უწოდა და საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვა. ავთანდილ გურასაშვილის ფოტო.

ქართველ მთამსვლელთა მეორე ჯგუფი: მარცხნიდან — ირაკლი გელდიაშვილი, ჯემალ ქელეხსაშვილი, მურად ჰაჰინაძე, ტარიელ ლუკაშვილი, დევი თარხნიშვილი და თამაზ შარაშენიძე, რომლებმაც მწვერვალ დავით აღმაშენებელზე ასვლისთვის საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ომარ ერქომაიშვილის ფოტო.

ნატვრა აუსრულდა, აუსრულდა და მერე როგორ — იმ ტრავერსისთვის, რომელიც მე-5 ბ კატეგორიის სირთულისა აღმოჩნდა, თანაგუნდელებთან ერთად, საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი გადაეცა.

• • •

მწვერვალი დავით აღმაშენებელი მთამსვლელთათვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. კავკასიონის სხვა უმაღლეს მწვერვალებთან შედარებით იგი დაბალია (3842 მ), მაგრამ მისი ფრიალო კლდოვანი ბასტიონების მნახველს, როგორც იტყვიან, ტანში ჟრუანტელი უვლის, ჭაუხების უმაღლეს და კავკასიონის ამ ერთერთ ურთულეს მწვერვალზე ასასვლელად იოლი გზა პრაქტიკულად არ არსებობს. უფრო სწორად, ჯერ ვერ მიუგნიათ.

1982 წლის საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე ქართველ მთამსვლელთა მეორე ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ირაკლი გელდიაშვილი, დევი თარხნიშვილი, ტარიელ ლუკაშვილი, თამაზ შარაშენიძე, ჯემალ ქელეხსაშვილი და მურად ჰაჰინაძე, სწორედ ამ მწვერვალზე ასვლა გადაწყვიტა.

მაშინ საკავშირო სპორტკომიტეტის მთამსვლელობის განყოფილების უფროსის მოადგილე, ჩემპიონატის მსაჯი იური ემელიანენკო ჩვენს მთამსვლელებს ჭაუხებში ახლდა და როცა მწვერვალ დავით აღმაშენებლის კედელი ნახა, გაოცება ვერ დაფარა. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ამ რაიონში ასეთი ძნელად დასაძლევი კედელი იქნებოდაო. — თქვა მან.

ამ მარშრუტის გავლისას ჩვენს მთამსვლელებს თავდაპირველად 200 მეტრამდე სიმაღლის მთლად ფრიალო კლდოვანი ბასტიონი შეხვდათ, რომლის საშუალო დახრილობა 85-90 გრადუსს აღწევდა, ამავე მონაკვეთზე იყო უარყოფითი დახრილობის კლდეები, რომელთა სიგრძე, საერთო ჯამში, 40 მეტრს აღწევდა. მარშრუტის მეორე მონაკვეთი 200 მეტრამდე სიმაღლისა იყო. შვეულ კედელს ერთგვარი გავაკება, დაახლოებით 65 გრადუსამდე დახრილობის ფერდობი ცვლიდა, მესამე მონაკვეთი, მწვერვალის წინა ბასტიონი, 200-250 მეტრი სიმაღლის ფრიალო კლდე იყო.

ორი მთამსვლელი ღამეს ჰამაკებში ათევდა, დანარჩენები — ნახევრად მჯდომარენი. მთელს მარშრუტზე ჯგუფის წევრებმა ვერა და ვერ მოიყარეს ერთად თავი, რაც მწვერვალის სირთულეზე მეტყველებს. ისიც საგულისხმოა, რომ კედელს მზე მხოლოდ დილა-საღამოს აღგებოდა. ამასთან მწვერვალიდან ნაჟური წყალი კედელს ასველებდა და საგალს უფრო ართულებდა.

ამ ასვლით ჩვენმა მთამსვლელებმა საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ეს მარშრუტიც მე-5 ბ კატეგორიისა აღმოჩნდა.

ავთანდილ გურასაშვილი.

უდიდესი მადლობა ქართველ ხალხს

ტრაგედიის ეჭო

გასული წლის დეკემბერმა დიდი უბედურება დაატეხა თავს სომეხ ხალხს. 7 დეკემბრის ტრაგედიამ არნახული ზიანი მიაყენა სომხეთის მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებს. ეს შემაშფოთებელი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქვეყანას, ყველაზე ადრე კი იგი სომეხთა ძველისძველმა ძმებმა — ქართველებმა შეიტყვეს. შეიტყვეს და მაშინვე მიაშურეს გაჭირვებაში ჩავარდნილთა დასახმარებლად. ერთერთი პირველნი ამ საქმეში ჯავახეთის მცხოვრებნი იყვნენ. მიწისძვრიდან სულ რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენ ლენინაკანსა და სპიტაკში ვიყავით, გამოგიტყდებით, გაკვირვებულები დავრჩით, როდესაც იქ ჩვენზე ადრე ჩასული თბილისელი ექიმები და სხვა შედარებით მოწესრიგებულ რაიონებში უწევდნენ დაშავებულებს სასწრაფო დახმარებას, მძიმედ დაშავებულებს კი პირდაპირ თბილისში გზავნიდნენ. ირგვლივ უაღრესად საქმიანი ატმოსფერო სუფევდა, გაისმოდა მოკლე შეძახილები: „მომაწოდე“, „მიდი“, „ასწიე“, „სწრაფად“...

მერწმუნეთ, ამ განსაცდელის ჟამს კიდევ ერთხელ საქვეყნოდ გამობრწყინდა ქართველი ხალხის რაინდული სული, მოწყალე გული და მოძმისადმი თავდადების უაღრესად გამორჩეული თვისება.

სომეხ ხალხში განსაკუთრებული სულისშემძვრელი განწყობილება შეიქმნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის არაერთგზის ჩასვლამ სპიტაკსა და ლენინაკანში, სხვა დაზარალებულ რაიონებში, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის საავადმყოფოებში.

საქართველომ ფართოდ გაუღო კარი მიწისძვრით დაზარალებულებს, მისცა თავშესაფარი, ყველა პირობა შეუქმნა მკურნალობის, სწავლისა და გაჯირვების შემსუბუქებისათვის.

ჩემი სპეციალობით წლების მანძილზე დაკავშირებული ვარ რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებასთან და, ცხადია, მრავალ შეჯიბრებას ვესწრები. მერწმუნეთ, უდიდესი სიხარული გამოიწვია ჩემში იმ ფაქტმა, რომ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საქველმოქმედო მატჩი ბრემენის „ვერდერსა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. უაღრესად გულისშემძვრელი იყო ისიც, რომ 50.000-ზე მეტმა მაყურებელმა ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი სცა მიწისძვრით დაღუპულთა ხსოვნას. დავესწარი აგრეთვე კიევის „დინამოსა“ და ბოვიანის „ჰადისის“ კალათბურთელთა თამაშს თბილისში. ქართველმა გულშემატკივრებმა მართლაც დიდი ყურადღება გამოიჩინეს „ჰადისის“ მოთამაშეებისადმი. იქვე შევხვდი „ჰადისის“ უფროს მწვრთნელს რ. ჩოლახიანს, გუნდის კაპიტანს ლიუდმილა ვოროლენკოსა და საუკეთესო მოთამაშეს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ანაიდა აკოფიანს. გუნდის მწვრთნელს მიწისძვრის დროს დაეღუპა რვა ნათესავი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან არ დაივიწყა თავისი მოვალეობა და საასპარეზოდ ჩამოიყვანა გუნდი. აბოვიანელი სპორტსმენები წრფელი გულით, აღელვებულნი ლაპარაკობდნენ ქართველ ხალხზე, ქართველთა უხვ და უშურველ დახმარებაზე. გუნდის კაპიტანმა პირდაპირ განაცხადა: „მინდა ჩვენი გუნდის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო მთელ ქართველ ხალხს ასეთი გულისხმიერი, გულუხვი მასპინძლობისათვის, იმ ყურადღებისათვის, რაც მან გამოიჩინა ჩვენი გუნდის მიმართ, ჩვენი რესპუბლიკისადმი ამ ძალზე მძიმე დღეებში. ლენინაკანში, კიროვაკანში, სპიტაკსა და ყველგან სიყვარულით ლაპარაკობენ სომეხი და ქართველი ხალხების ძველსა და მართლა გაუხუნარ მეგობრობაზე. ჩვენი გუნდი სხვადასხვაეროვანია — გვყავს რუსები, უკრაინელები, სომხები. კარგა ხანია ვთამაშობ „ჰადისში“, ბევრი რამ მინახავს, მაგრამ არსად არ მიგრძვნია ისეთი ურთიერთგაგება და მეგობრობა, როგორიც არსებობს ქართველებსა და სომხებს შორის“. ანაიდა აკოფიანმა იქვე დასძინა: „ჩემო ძვირფასო ქართველო ძმებო, ჩემს ღრმა სიყვარულს გადმოგცემთ ყველას, ჩემი ხალხის უკიდურესი ძნელბედობის დროს დიდი დახმარებისათვის, პირველი ხელი ხომ სწორედ თქვენ გამოგვიწოდეთ. თქვენი და ჩვენი ხალხების მეგობრობა — სამარადისოა!

უდიდესი მადლობა ქართველო ხალხო!“

ვოსკოვ ღანდილიანი,
პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებების ახალქალაქის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

არც თავად აშენებენ, არც ჩვენ გვანებებენ

პატივცემულო რედაქცია!

გთხოვთ გაიზიაროთ ჩვენი გულისტკივილი და დაგვეხმაროთ. ლილოს დასახლებაშია 63-ე პროფტექნიკური სასწავლებელი, სადაც პედაგოგ-მასწავლებლებისა და მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 350 კაცს შეადგენს. სამწუხაროდ, დასახლებაში, სადაც ჩვენი სასწავლებელია, სპორტული სარბიელი არ არსებობს, თუმცა, სასწავლებელს თავის დროზე ჰქონდა კარგი ფეხბურთის მოედანი, კალათბურთისა და ფრენბურთის კომბინირებული სარბიელი, სადაც მოსწავლეები სპორტულ ღონისძიებებს ატარებდნენ. აქვე ვარჯიშობდა ლილოს დასახლების ახალგაზრდობაც, მაგრამ საქარხნო რაიონის აღმასკომმა სასწავლებლის ფეხბურთის მოედნის ადგილზე დახურული გასაბერი სტადიონის აშენება გადაწყვიტა და 1986 წლის თებერვალში მშენებლობა მართლაც დაიწყეს. მუშაობა ერთხანს ურიგოდ არ მიდიოდა — აგრიალდა ბულდოზერი, მოედანს ბეტონის კედლები გაუკეთეს. გასაბერი ბრეზენტიც მოიტანეს და შეასხვლელიც გადახურეს.

ყველას უხაროდა, რომ საქმეს სასიკეთო პირი უჩანდა, მაგრამ მშენებლებმა ერთ თვეში სამუშაო მიატოვეს და შემდეგ აღარავინ გამოჩენილა. რაც გაკეთდა, ისიც ვერანდება და ინგრევა.

ნუთუ ასე ძნელი იყო კეთილი საქმის ბოლომდე მიყვანა?

1987 წელს თქვენს გაზეთში ჩვენი მიტოვებული სპორტული მოედნის ფოტო დაიბეჭდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავი არავინ შეიწუხა. ამიტომ იძულებული ვართ კვლავ თქვენ მოგმართოთ. იქნებ დაგვეხმაროთ და დაგვიბრუნონ ტერიტორია. დაწყებულ საქმეს ჩვენვე დავამთავრებთ.

ალბათ ჩვენს გულისტკივილს გამოეხმაურებიან ის ორგანიზაციებიც, რომლებმაც სპორტული მოედნის მშენებლობა დაიწყეს და აღარ დაამთავრეს.

ა. უიზიანი,
63-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურის ხელმძღვანელი.

რედაქციისაგან: ფაქტი, რომელიც მკითხველის ხამხჯავრობაზე გამოვიტანეთ, ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე. ფიზკულტურის ხელმძღვანელის გულისტკივილი გასაგებია, მაგრამ გაუგებარია რატომ მხოლოდ ერთ კაცს უნდა ზრუნავდეს გული საერთო საქმეზე?

პასუხს თბილისის სახალხო განათლების სამინისტროდან და საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოდან ველით.

სანახაობრივი რომ გახდეს...

(დასასრული)

რველ ყოვლისა, ალბათ ეს უბანია მოსაწესრიგებელი.

ახლა კი მივყვეთ შეჯიბრების მსვლელობას და ვნახოთ ორი წრის შემდეგ როგორი მდგომარეობაა წონით კატეგორიებში.

48 კგ. როგორც მოსალოდნელი იყო, ორი შეხვედრა მოიგო სეულის ოლიმპიადის პრიზიორმა ს. კარამჩაკოვმა. ლიდერთა შორის არიან და ბრძოლას წარმატებით განაგრძობენ: სარგელენბატორი (მონგოლეთი), ლი ხოკ სონი (კსდრ), ნ. გევორქიანი (სსრ კავშირი). სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა პირველ წრეში დაამარცხა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე ვ. გოგოლევი, მეორეში კი თანაგუნდელ რ. მამედოვს აჯობა. გოგოლევმა მეორე წრეში გამარჯვებით (ი. მამიშევთან) ერთგვარად გაიუმჯობესა მდგომარეობა, მაგრამ საპრიზო ადგილებზე გასვლა მას, როგორც ჩანს, გაუჭირდება.

52 კგ. ამ წონაშიც მთავარ ფავორიტად ოლიმპიელი ვ. თოგუზოვი უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ჯერჯერობით კარგ შანსებს ინარჩუნებენ ბ. უმახანოვიც და კ. სიმონიანიც (ორივე — სსრ კავშირი). ჩვენი რეპრეზენტანტი ბ. ნადს ორივე შეხვედრა წააგო.



62 კგ. ერთ-ერთ უდაო ფავორიტად ითვლება თბილისის ტურნირის მრავალგზის ჩემპიონი რ. კარაევი. ორ-ორი შეხვედრა მოიგეს, ასევე, საქართველოს წარმომადგენლებმა გ. მაკოევმა და შ. მაჰმედოვმა. ლიდერთა ჯგუფში არიან საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები მ. პროტოპოპოვი და კ. აზიზოვი.

68 კგ. მეორე წრე უიღბლო გამოდგა სამი ქართველი მოჭიდავისთვის. გ. გაბოძე თანაბარ ბრძოლაში დამარცხდა ა. მუტალიბოვთან (სსრ კავშირი), უმნიშვნელო უპირატესობით წააგო ხ. საბაშვილმაც, აი, რ. გაჯიევმა (სსრ კავშირი) კი აშკარად დაჩაგრა ზ. ავაზაშვილი. სამაგიეროდ დამაჯერებლად ატარებს შეხვედრებს გ. ხინჩიგაშვილი. ვლადიმერ ევნონოვთან (სსრ კავშირი) გამარჯვების შემდეგ მან შეუპოვარ ბრძოლაში სძლია უნგრელ ა. პოდორსკის და ლიდერთა ჯგუფში დაიმკვიდრა ადგილი. აქვეა საბჭოთა ნაკრების წევრი და გამარჯვების ერთ-ერთი ფავორიტი ბ. ბუდაევი.

74 კგ. ორი შეხვედრა დათმო პ. ხურციძემ. პირველი მარცხის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა ნ. ფასუ-

სპუბლიკა აქ სამი ათლეტით — ნ. ნასყიდაშვილით, ზ. ტატუაშვილითა და გ. ბერუაშვილით იყო წარმოდგენილი, სამწუხაროდ, არც ერთს არა აქვს რამდენადმე სანუგეშო მდგომარეობა, თუმცა ნასყიდაშვილს ასე თუ ისე კიდევ შეუძლია წინსვლაზე ფიქრი.

57 კგ. ორი შეხვედრა მოიგო ზედიზედ (მ. ჩერროვთან და ა. პესტერევთან) და ლიდერთა შორის იმყოფება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ე. მუსაიანი. დამაჯერებლად მიიწევს წინ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი კ. აბდულდაულოვიც, ირანელ ტ. აჩპარეჰოლთან მარცხის შემდეგ ერთგვარად გამოასწორა მდგომარეობა დ. ბელთაძემ (მოუგო უნგრელ ბ. ნადს).

62 კგ. ერთ-ერთ უდაო ფავორიტად ითვლება თბილისის ტურნირის მრავალგზის ჩემპიონი რ. კარაევი. ორ-ორი შეხვედრა მოიგეს, ასევე, საქართველოს წარმომადგენლებმა გ. მაკოევმა და შ. მაჰმედოვმა. ლიდერთა ჯგუფში არიან საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები მ. პროტოპოპოვი და კ. აზიზოვი.

68 კგ. მეორე წრე უიღბლო გამოდგა სამი ქართველი მოჭიდავისთვის. გ. გაბოძე თანაბარ ბრძოლაში დამარცხდა ა. მუტალიბოვთან (სსრ კავშირი), უმნიშვნელო უპირატესობით წააგო ხ. საბაშვილმაც, აი, რ. გაჯიევმა (სსრ კავშირი) კი აშკარად დაჩაგრა ზ. ავაზაშვილი. სამაგიეროდ დამაჯერებლად ატარებს შეხვედრებს გ. ხინჩიგაშვილი. ვლადიმერ ევნონოვთან (სსრ კავშირი) გამარჯვების შემდეგ მან შეუპოვარ ბრძოლაში სძლია უნგრელ ა. პოდორსკის და ლიდერთა ჯგუფში დაიმკვიდრა ადგილი. აქვეა საბჭოთა ნაკრების წევრი და გამარჯვების ერთ-ერთი ფავორიტი ბ. ბუდაევი.

74 კგ. ორი შეხვედრა დათმო პ. ხურციძემ. პირველი მარცხის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა ნ. ფასუ-

რაშვილმა (მოუგო პოლონელ კ. ვალენჩიკს). ამ წონაში ლიდერებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ ორ-ორი შეხვედრა მოიგეს და დამაჯერებლად მიიწევენ წინ ე. ელოშვილი (საქართველო), ვ. პეიკოვი, ნ. გაჯიხანოვი. ს. გამიდოვი და, რა თქმა უნდა, ვ. ძუგუტოვი (ყველა — სსრ კავშირი).

82 კგ. ორი შეხვედრა მოიგო ჩვენი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ა. გოგოლაშვილმა. პირველ წრეში მისი მეტოქე უნგრელი ლ. დვორაკი იყო. მეორეში — ირანელი მ. ბაზრი. ამ უკანასკნელთან ორთაბრძოლაში ქართველმა მოჭიდავემ 9 „მშრალი“ ქულა აიღო, რაც მის უდაო უპირატესობაზე მეტყველებს. წარმატებით აგრძელებენ ტურნირს რ. ჩიაპარელი (აშშ), ი. ვორობიოვი, ა. გამიდოვი, რ. ქელეხსაევი, ლ. ჟაბრაილოვი (ყველა — სსრ კავშირი). მეორე წრეში ოთხმა ქართველმა მოჭიდავემ დაყარა ფარ-ხმალი. ესენია: ა. გაბედავა, ს. აბაშვილი, ვ. ქასაშვილი, ა. გოგრიჭიანი.

90 კგ. ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა იყო ვ. რაზმაძისა და ვ. კაზიბეკოვის ორთაბრძოლა, მოჭიდავეებისა, რომლებმაც პირველ წრეში წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს. ამჯერად წარმატება კაზიბეკოვს ხვდა, რომელიც ფიზიკურად მეტოქეზე აშკარად ძლიერი აღმოჩნდა. ორ-ორი გამარჯვება აქვთ ამერიკელებს ჯ. შერსა და დ. საიდს. საქართველოს მოჭიდავეთაგან მეორე წრეში დამარცხდნენ ვ. სულთანიშვილი, რ. ბუზარიაშვილი და ზ. ბენდიანიშვილი.

100 კგ. ფავორიტები დამაჯერებლად მიიწევენ წინ. ზ. ტყეშელაშვილმა უკვე ორი გამარჯვება მოიპოვა — კ. ალექსანდროვთან და დ. იანიევთან (ორივე — სსრ კავშირი). საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის შანსებს ინარჩუნებენ: ა. გოლოვკო და ს. ოჰანესიანი (ორივე — სსრ კავშირი), აგრეთვე კ. ტროსტი (აშშ). ამ უკანასკნელმა დაამარცხა საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ა. საბეევი.

130 კგ. მძიმე წონაში ასპარეზობა დაიწყო ჩვენი რესპუბლიკის ექვსმა წარმომადგენელმა. ზ. თურმანიძემ უკვე ორი გამარჯვება მოიპოვა (თანაგუნდელ ბ. ბურდულთან და სსრ კავშირის ნაკრების წევრთან ი. ტაპაკინთან). ასეთივე შედეგი აქვს მ. ვალიევს (აჯობა გ. ჟილცოვს და ა. მედვედს). დანარჩენმა ჩვენმა ათლეტებმა ერთი შეხვედრა მოიგეს და ერთიც წააგეს (კ. ლოჩოშვილმა, გ. გალდავამ, ლ. ებანოიძემ). ბ. ბურდული ორთავე შეხვედრაში დამარცხდა. თურმანიძესა და ვალიევს საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავთ ტ. ერისკონის (აშშ), ა. შრიოდერის (გდრ) და ო. ნანიევის (სსრ კავშირი) სახით.

• • •

დღეს თბილისის სპორტის სახახლეში გაიმართება საერთაშორისო ტურნირის ათივე ჩემპიონი და პრიზიორი. დღისით გაიმართება მეექვსე და თუ საჭირო გახდა, მეშვიდე წრის შეხვედრები, საღამოთი კი ფინალური ორთაბრძოლები გაიმართება.

ემანსიპაციის საუკუნე

ეს მართლაც უნიკალური შემთხვევა გახლავთ მსოფლიო ჰიდაობის პრაქტიკაში: ქალი არბიტრი, რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ამ წმინდა ვაჟკაცთა სპორტს მიუძღვნა. ლარისა ბერიევას საქართველოში ყველა იცნობს როგორც ჰიდაობის სპეციალისტს. მის ხელში ფალავანთა მთელმა თაობებმა გაიარა. ლარისა ყველა ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი მოქმედია, ურომლისოდაც არაფერი მნიშვნელოვანი არ მოხდება ჰიდაობაში.

აკი ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ 1963 წელს მას საკ[illegible]ორო კატეგორიის მსაჯის წოდება მიაკუთვნეს. გუშინწინ კი თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის გახსნის დღეს ფილა-ს (ჰიდაობის საერთაშორისო ფედერაცია) წარმომადგენელმა ლარისა ბერიევას [illegible]ერთაშორისო კატეგორიის არბიტრის სამკერდე ნიშანი და მოწმობა გადასცა. ტყუილად როდი უთქვამთ, XX საუკუნე ქალთა სრული ემანსიპაციის საუკუნე ჭრისო.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

მოგვაწოდეთ თქვენი აზრი

რა დავარქვათ ჩვენს გუნდებს?

თუ საერთო რესპუბლიკური სატელევიზიო — სატელეფონო დუმილის სენი არ სჭირს, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციაში განუწყვეტლივ გაისმის ზარი. რეკავენ სპორტულ განყოფილებაში, „სიამოვნების პანორამაში“, „სარედაქციო მისაღებში“, ან, უბრალოდ, ნაცნობ ჟურნალისტთან და თითქმის ყოველი მეოთხე ერთსა და იმავე საკითხზე გვესაუბრება: თავის აზრს გვიზიარებს, იმის თაობაზე, თუ რა დავარქვათ ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონს — ქუთაისის რეგბისტთა გუნდსა და „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივს.

შემთხვევითი არ არის ამგვარი აქტიურობა. შარშან საქართველოს ტელევიზიით არც თუ უსამართლოდ გაგვეკენწლეს — სად საფიჩხია და სად „ტორპედო“; და თუმცა „ტორპედო“ საფიჩხიასთან იმდენადვეა დაკავშირებული, რამდენადაც მწვანეყვავილასთან, ბალიზვანთან ან ოლასკურასთან, მაგრამ რედაქციამ გაითვალისწინა როგორც ეს კრიტიკული შენიშვნა, ისე რეგბისა და ფეხბურთის ქომაგთა წინადადება და მკითხველთა ფართო საბსკვიროზე გამოიტანა საკითხი იმის თაობაზე, თუ რა დავარქვათ ჩვენს გუნდებს. ამის შესახებ წერილი გაიგეთ „ქუთაისში“ შარშან 14 დეკემბერს გამოვაქვეყნეთ, თუმცა, მთელი გულახდილობით რომ ვთქვათ, მაშინ არც კი მოველოდით, რომ მას ამგვარი გამოხმაურება მოჰყვებოდა.

— საკმაო ხნის კრიზისის შემდეგ რიონისპირელი ფეხბურთელები დაუბრუნდნენ პირველ ლიგას, წარმატება მოიპოვეს თასისათვის ბრძოლაშიც, ამიტომ, სასურველია, წარმართად შემობრუნებული მათი გზა ღირსეული ქართული სახელით დაწყოსო, — გვწერენ გულშემატკივრები ბ. შარაბიძე, შ. ლორთქიფანიძე და გ. ასათიანი.

მაინც რა სახელებს გვთავაზობენ მკითხველები?

უმეტესობა ფიქრობს, რომ „ტორპედოსა“ და „მშენებელს“ უნდა ერქვას „აია“, „კოლხეთი“, „იმერეთი“, „უქიმერიონი“, „რიონი“, „ქუთაისი“. ბარათებს ერთი და ორი ავტორი როდი ჰყავს. რედაქციაში მიღებულ ერთ-ერთ წერილს ხელს აწერს 131 გულშემატკივარი, მეორე წერილს — 40 ახალგაზრდა არქიტექტორი და ინჟინერი. ბევრი წინადადება უკვე გამოქვეყნდა რუბრიკით „სარედაქციო მისაღებში შეგვატყობინეს“, სხვები — წერილების მიმოხილვებში, რომლებიც სპეციალურად ამ საკითხს მიეძღვნა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოსაზრებანი ერთგვაროვანი არ არის.

ავტორთა ერთი ჯგუფი აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს მოდური გახდა ქუჩების, საწარმოებისა თუ გუნდებისათვის სახელების დაუსაბუთებელი შეცვლა და მოითხოვს „ტორპედოსათვის“ ძველი სახელის შენარჩუნებას. ამას კი იმითაც ამართლებს, რომ ამ სახელით გუნდს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში იცნობენ, ეს უკვე ისტორიაა და ისტორიის ნებისად გადაკეთების უფლება არა გვაქვსო.

ერთი სიტყვით, „ტორპედოსთან“ დაკავშირებით მოსაზრებები აშკარა გაიყო, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაიყო არათანაბარზომიერად. ჭარბობს გუნდისათვის ახალი, უფრო შესაფერისი სახელის ძიების სურვილი.

რაც შეეხება „მშენებელს“, აქ გულშემატკივართა და რეგბისტთა პოზიცია ფაქტობრივად ერთმანეთს ემთხვევა. მეტიც: გუნდის უფროსმა მწვრთნელმა დუგლას კავთელაშვილმა გაზეთ „ქუთაისში“ გაცილებით ადრე გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ყურადღება სწორედ გუნდისათვის სახელის შეცვლის აუცილებლობაზე გაამახვილა. და მაინც, ჭარჯერობით ეს საკითხი ვერ გადაწყდა, რადგან როგორც გულშემატკივრები, ისე სპორტსმენები თვლიან, რომ რესპუბლიკის ორი ცნობილი კოლექტივის სახელი მხოლოდ ქუთაისში არ უნდა შეიცვალოს. მართლაცდა, არავისთვის არ არის სულერთი, თუ რა ერქმევა გუნდებს, რომლებსაც საკვირველი თუ საერთაშორისო არენაზე არაერთხელ მოუწევთ გამოსვლა და რესპუბლიკის ღირსების დაცვა. გაზეთ „ლელოს“ საშუალებით სწორედ ამიტომ მოგმართავთ რესპუბლიკის ყველა გულშემატკივარს. დაგვეხმაროთ ქვეყნის ორგზის ჩემპიონ რეგბისტთა და ქუთაისელ ფეხბურთელთა გუნდებისათვის სასურველი სახელების შერჩევაში.

როგორია თქვენი აზრი?

რა შეიძლება დავარქვათ ამ გუნდებს?

ამ კითხვებთან დაკავშირებით ველით თქვენს წერილებს გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციაში (ქუთაისი, რუსთაველის გამზირი, 37 ა), ან გაზეთ „ლელოში“.

გვაქვს თანადგომის იმედი და წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

ბესიკ ხვედელიანი, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი.

რატომ არ სრულდება სადირექტივო მითითებები?

SOS

ისევ ბაკურიანის პრობლემების შესახებ

ბაკურიანის მნიშვნელობა რესპუბლიკაში და მთელს კავშირში ხათხელამურო სპორტის განვითარების საქმეში, ვფიქრობთ, განმარტებას არ მოითხოვს, ეს იხედაც ყველამ კარგად იცის. სამწუხაროდ, ვიცით, მაგრამ ცოტას თუ ვაქეთებთ პრობლემების გადახარჯილად.

ბაკურიანში უკვე დაიწყო ახალი სპორტული სეზონი. თებერვლის პირველ დეკადაში აქ ჩატარდება ახალგაზრდული რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები, 9-22 მარტს ბაკავშირო თამაშები გაიმართება, ამ დღეებში კი ბაკურიანმა ქვეყნის პირველობას უმასპინძლა რბოლებში.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში 1988 წლის 8 დეკემბერს გაიმართა თათბირი, რომელიც ზამთრის სპორტის სახეობების ცენტრებში, მათ შორის ბაკურიანში გადაუდებელი საკითხების მოგვარებას მიეძღვნა. გაიცა დავალებები, მაგრამ... ამონაწერი მოხსენებითი ბარათიდან, რომელსაც ხელს აწერენ ბაკავშირო ახალგაზრდული თამაშების მთავარი მხარჯი ვ. თიბილოვი და სამაშველო რაზმის უფროსი მ. დანგაძე: „... ბაქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სახელმწიფო კომიტეტს (ვ. ორჯონიკიძე) დაეკალა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური სამუშაოების ჩატარება, მაგრამ აღნიშნულ კომიტეტს დღესაც არ დაუწყია მუშაობა. მოუმზადებელია ხვრაფფდაშვებისა და სლალომის ტრასები, ვინაიდან ტექნიკურად არაა გამართული თოვლსატკეპნი ტექნიკა, გაუმართავია საბაგირო გზები, ტექნიკურ შეკეთებას მოითხოვს „კობტა-2“ — მიტარების საბაგირო გზა, არაა დაღგმული სახტარტო და საფინიშო ჯიხურები და ა. შ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ფერხდება საქართველოს ნაკრები გუნდის მზადება და საფრთხე ემუქრება როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო თამაშების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებას“.

ამ დღეებში ბაკურიანს ეწვია საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მამატოვი და რესპუბლიკის სპორტსახკომის ხელმძღვანელობა. ამჟამად აქ მუოფმა სპორტსმენებმა საყუდურებით ავსეს ხელმძღვანელი მუშაკები, შეჯიბრებებისათვის მათი მზადება ახლო პირობებში თითქმის არ იძლევა ეფექტს.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ საბაგირო გზებზე წმინდაწყლის ორხელისუფლებიანობაა. გზა სხვისაა, ტრასა სხვისა. ასეთი შეთანხმება რჩება, რომ ტურისტებზე მეტს ზრუნავენ, ვიდრე სპორტსმენებზე. იმას არ ვამბობთ, რომ ასე არ უნდა იყოს, მაგრამ სპორტს რატომ ვაგდებთ გერის როლში?

საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს. მით უმეტეს დავრწმუნდით, რომ ორხელისუფლებიანობა აქ საქმეს უფრო ვნებს, ვიდრე ხელს უწყობს. ერთი ცხადია, ხათხაგირო გზის მფლობელები მხოლოდ ცალმხრივ არიან დაინტერესებულნი. შემთხვევას იღებენ, ბაგირგზების გამართულ მუშაობაზე და ტრასების მოწყობაზე კი ხრულებით არ ზრუნავენ. საბაგირო გზა ხომ ტრასებს ემსახურება? ვიმეორებთ, საკითხი დროულად უნდა გადაწყდეს.

შეკითხვა საქართველოს სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ბ. ორჯონიკიძეს: რატომ ჭიანურდება გადაუდებელი სამუშაოები ბაკურიანში, მხოლოდ იმიუსლსური უურადღება განა საქმეს წაადგება? რატომ არ გადაიზარდა ბაკურიანისადმი მზრუნველობა სისტემაში, რატომ არ მიგვაქვს გულთან ახლოს ქართული სპორტის ინტერესები?

ვინ იქნება პირველი?

(დასასრული)

ისინი მხოლოდ 17-18 წლისანი არიან და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მაგალითად, ახმეტელი ვასილ ომარაშვილი ვაზარით იგებდა ერთ-ერთ ორთაბრძოლას მესამე ადგილისათვის, მაგრამ შემდეგ ხელი იტკინა და იძულებული გახდა უარი ეთქვა ბრძოლის გაგრძელებაზე.

78 კგ წონაში ჩვენმა გუნდმა 3 სპორტსმენი გამოიყვანა. აქ პირველი ადგილის ბედი, ფაქტობრივად, თავიდანვე იყო გადაწყვეტილი — არავინ ჩანდა გროზნოელი ბაშირ ვარაევის მჯობნი, რომელიც საკმაოდ იოლად გახდა ჩემპიონი.

როგორც უკვე გაცნობეთ, გორელმა ენგურ გოგიჩაშვილმა პირველ შეხვედრაში დამარცხების შემდეგ ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო და მესამე ადგილისათვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. ეს უაღრესად საჭირო მოგებები გახლდათ ჩვენი გუნდისათვის და აი, რატომ: მოგეხსენებათ, გუნდური პირველობისათვის დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს საქართველოსა და რსფსრ-ის კოლექტივებს შორის. მართალია, ჩვენი მეტოქე თითქმის ორჯერ უფრო მეტ სპორტსმენს ითვლის, მაგრამ გუნდურ ჩათვლაში თითოეულ წონაში თითო ათლეტის შედეგი შედის და ამდენად შანსები ნაწილობრივ თანაბრდება, ასე რომ, ერთ რომელიმე წონაში მოჭიდავის ჩათვლის გარეთ —ექვსეულს მიღმა — დარჩენაც კი კატასტროფაა გუნდისათვის. გოგიჩაშვილმა სამი მოგებით გაიანალიზა ჩათვლა, თუმცა ბრინჯაოს მედალი ვერ მიიღო — წმინდად დამარცხდა მახაჩყალელ რაშიდ იბრაჰიმოვთან და მედალი მას გადაულოცა.

შეჯიბრების ორი დღის შემდეგ გუნდურ პირველობაში ლიდერთა ძდომარეობა თანაბარი იყო.

ბუშინ ვაჟთა შეჯიბრებაში ჩაებნენ 71 და 65 კგ წონითი კატეგორიების მოჭიდავეები.

71 კგ წონაში საერთოდ ქართველი ფალავნები ხშირად აღწევდნენ წარმატებებს. სასიხარულოა, რომ ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. მართალია, ამ წონაში მოასპარეზე ჩვენი „შესანიშნავი შვიდეულის“ (გორელი გია თენაძე, სოხუმელი ვლადიმერ დგებუაძე, თბილისელები — ტრისტან ბაშარული, ზურაბ ონიანი, დავით ფიცხელაური, ბათო ჯიქური, ბაკურ თურჩაძე) ზოგიერთმა წევრმა წაიფორხილა, მაგრამ მოვლენები მთლიანად ისე განვითარდა, რომ უკეთესის იმედი ძნელად თუ ექნებოდა კაცს. რაც მთავარია, ფინალი ქართული იქნება — ოქროს მედლისათვის იბრძოლებენ გია თენაძე და ვლადიმერ დგებუაძე.

განსაკუთრებით გასაკვირი იყო ვლადიმერ დგებუაძის („დინამო“, მწვრთნელი — დემურ არჭანია) გამოსვლა, რომელსაც ჯერ 19 წელიც არ შესრულებია. პირველ შეხვედრაში მან სამი „იუკო“ აართვა და შემდეგ ლამაზი გდებით მოუგო საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონს ანდრეი კარასტოვს (რსფსრ). „მასთან ჰიდილი შეუძლებელია“ — თქვა ბრძოლის შემდეგ გულგატეხილმა კარასტოვმა. ალბათ ამასვე იტყოდნენ დგებუაძის სხვა მეტოქეებიც — მან ხომ დანარჩენი სამი შეხვედრაც წმინდად მოიგო. ამასთან, ფინალში გასასვლელ ორთა ბრძოლაში ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა — 5 წამში „გაისტუმრა“ ტატამიდან ბელორუსიის წარმომადგენელი მურად ტიულპანოვი. ერთი სიტყვით, ჰაბუმა დგებუაძემ, როგორც მინიმუმი, ვერცხლის მედალი გიანდა.

სამაგიეროდ, ცხადია, არავის გაკვირვებია სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსნის გია თენაძის ფინალში გასვლა. მანაც ოთხივე შეხვედრა მოიგო წმინდად, მათ შორის ისიც, რომელიც ფინალის საგზურს იძლეოდა (ადილბეკ ასატულაევს სძლია).

ჩვენი ფალავნების წარმატება ამით არ ამოიწურება — ბრინჯაოს მედლისათვის ბრძოლას ჩვენი სამი წარმომადგენელიც (ტრისტან ბაშარული გარდა) აგრძელებს. ზურაბ ონიანმა, მაგალითად, უკვე სამი ორთაბრძოლა მოიგო, მათ შორის ორი — წმინდად, ასე რომ, ამ წონაში კარგ მოსავალს უნდა ველოდოთ.

სამწუხაროდ, ჩათვლის გარეშე დავრჩით 65 კგ წონით კატეგორიაში. გია ხოსიტაშვილი და ხვიჩა ბუძიშვილი ადრეულ ეტაპზევე გამოეთიშნენ ბრძოლას, მეორე წრეში დამარცხდა ჩვენი მთავარი იმედი ვახტანგ ჯაფარიძე. მან შემდეგ ორი შეხვედრა კი მოიგო, მაგრამ კვლავ წააგო ცნობილ მოჭიდავე იგორ გრიგუტთან და საბოლოოდ ექვსეულის მიღმა დარჩა. ამ წონაში ფინალში იასპარეზებენ მინუსინსკელი სერგეი კოსმინინი და ალმაათელი იზმაილ ვეშაგუროვი.

გუშინ ტატამზე გამოვიდნენ 52 და 56 კგ წონებში მოასპარეზე ქალებმა, რომელთა შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც იყვნენ.

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა გადაწყვიტა ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩი საფრანგეთის „მონაკოსა“ და თურქეთის „გალათასარაის“ შორის ჩაატაროს კიოლნში.

უეფა-ს ეს გადაწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ თურქეთის კლუბის სტადიონი დისკვალიფიცირებულია 2 მატჩით იმ უწესრიგობის გამო, რომელიც აქ მოხდა შარშან შემოდგომით „გალათასარაისა“ და შეიცარიის „ნეშამჭისის“ მატჩში.

გამოვლინდნენ იტალიის თასის გათამაშების ნახევარფინალის მონაწილენი. ესენია „ატალანტა“, „ნაპოლი“, „სამპდორია“ და „პიზა“.

მეოთხედფინალში „ატალანტამ“ ანგარიშით 4:3 დაამარცხა „ლაციო“, „ნაპოლიმ“ ასეთივე ანგარიშით მოუგო „ასკოლის“, „სამპდორიამ“ კი „ფიორენტინას“ (4:1). „პიზასა“ და „ვერონას“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2, მაგრამ პირველ მეოთხედფინალურ მატჩში მეტოქის მინდორზე გატანილი მეტი ბურთის მეხვებით უპირატესობა „პიზას“ მიენიჭა.

ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე ეტაპის წილისყრა აფრიკის ზონისათვის. გუნდები 4 ჯგუფად დაიყვნენ.

„ა“: ალჟირი, კოტ დივუარი, ლიბია, ზიმბაბვე.

„ბ“: ნიგერია, კენია, მალავი, ლიბერია.

„გ“: კამერუნი, ნიგერია, გაბონი, ანგოლა.

„დ“: მაროკო, ზაირი, ტუნისი, ზამბია.

გაიმართა პირველი მატჩებიც: კოტ დივუარი — ლიბია 1:0, კამერუნი — ანგოლა 1:1, კენია — მალავი 1:1, ნიგერია — გაბონი 1:0, ზაირი — ტუნისი 3:1, მაროკო — ზამბია 1:0.

51 წლის დრაგოსლავ შეკულარეცი დაინიშნა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ ახალ მწვრთნელად. იუგოსლავური ფეხბურთის ისტორიაში შეკულარაცი ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება. ნაკრებში მას 41 მატჩი აქვს ჩატარებული. აქამდე იგი მწვრთნელ სტანკოვიჩის ასისტენტად მუშაობდა.

ქართული ვარსკვლავები

მართლაც ახალგაზრდული შემადგენლობით გამოსულმა ქართველმა ათლეტებმა თბილისის ჭიდაობის სასახლეში მიმდინარე ახალგაზრდულ საკავშირო პირველობაზე. ამითავითვე იგრძნობა, რომ ყოველი ტური მძაფრი და შემოქმედებითი თვალსაზრისით საინტერესო იქნება. გამონაკლისი არც მეორე ტურის შეხვედრები ყოფილა.

რა თქმა უნდა, ადგილობრივ გულშემატკივართა ინტერესს გია გიორგაძის თამაში იწვევს (შეჯიბრებაში ავადმყოფობის გამო ვერ მონაწილეობს ოსტატი ლაშა ჯანჯღავა), ამიტომაც მეორე ტურში ყურადღების ცენტრში როზენტალი — გიორგაძის პარტია იყო. ქართველმა ოსტატმა დებიუტი ორიგინალურად გაითამაშა, მაგრამ მიტელშპილში ალბათ შეეძლო უკეთესი გეგმა აერჩია. საბოლოოდ პარტია გადაიდო ეტლების ენდშპილში.

შაბალოვ-დაუტოვის შეხვედრაში შავების მეფე ცენტრში დარჩა. ამით კარგად ისარგებლა რიგელმა ოსტატმა და მეფეზე პირდაპირი იერიში წამოიწყო. ერთხანს დაუტოვი კარგად იცავდა თავს, მაგრამ პარტიის გადარჩენა ვერ შეძლო და დანებდა მეტოქეს.

მეორე გამარჯვება იზეიმა ერევნელმა საერთაშორისო ოსტატმა ვლადიმერ აკოფიანმა, რომელმაც მოსკოველი ოსტატი გიორგი ტიმოშენკო დაამარცხა.

თეთრებმა დებიუტშივე მიიღეს უპირატესობა, რომელიც გამარჯვებამდე მიიყვანეს.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: დრეევი-ოლი — 0,5:0,5 სავჩენკო-შიროვი — 0,5:0,5, ეპიშინი-ნევეროვი — 0,5:0,5. გადაიდო რუბან-ულიბინისა და ანასტასიან-სერაპერის პარტიები.

2 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით დაწინაურდა ვლადიმერ აკოფიანი. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ლემბიტ ოლი (ტალინი).

თამარ ხუციშვილი,
საერთაშორისო ოსტატი.

ანგარიში თანაბარია

კვებეკი. კანადის ამ ქალაქში გრძელდება მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩი ჰადრაკში არტურ იუსუპოვსა და კევინ სპრაგეტს (კანადა) შორის.

ხუთი პარტიის შემდეგ ანგარიში კვლავ თანაბარია 2,5:2,5.

„დიდი პრიზი“ — შტეფი გრაფს

პარიზის სპორტულმა აკადემიამ თავისი ტრადიციული „დიდი პრიზი“ თანამედროვეობის №1 ჩოგბურთელ ქალს შტეფი გრაფს (გფრ) მიანიჭა.

ეს მეოთხე შემთხვევაა, როცა 1956 წელს დაწესებულ ამ ჯილდოს ქალი იღებს. ადრე იგი მიეკუთვნათ გულდს (1971 წ.), შპინკას (1974 წ.) და კომენეჩის (1976 წ.).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

კვირიდან კვირამდე

„პრავდა“ — 23 იანვარი. „სიობილი და ფული“. შარშანდელის შემდეგ, ლენინგრადის ტრადიციული მარათონი, რატომღაც, ფასიანი გახდა: ყოველი მსურველი ვალდებულია გადაიხადოს 12 მანეთი.

23 იანვარი. „ქუჩაც სტადიონი“. ამერიკელებს დიდი ხანია აღარ უკვირთ კაპიტოლიუმის წინ მორბენალ, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილ სენატორებისა და კონგრესმენების ხილვა.

26 იანვარი. „გემბანს მიღმა...“ სსრ კავშირის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე ერთი საკითხი იდგა: რიგ იუნიორ ჰოკეისტთა მიერ საზღვარგარეთ, მსოფლიო ჩემპიონატზე ჩადენილი უღირსი საქციელის შესახებ.

„იზვესტია“ — 24 იანვარი. „ჰოკეისტებს ნიწლ-ში ჩარიცხვა სურთ“. წერილში ლაპარაკია ჩვენთვის ახალ, საბჭოთა სპორტსმენების უცხოეთში გამგზავრების საქმეში წესრიგის დამყარების თაობაზე.

„კომსომოლსკაია პრავდა“ — 22 იანვარი. „ჯარისკაცობანას თამაში“. რითი იყო გამოწვეული ცსკა-ს კაალათბურთელ ვაჟთა გუნდში მწვრთნელის სასწრაფო გამოცვლა?

„ტრუდი“ — 25 იანვარი. „რატომ არ თამაშობს ჰოკეის ფეტისოვი?“ გაზეთი უბრუნდება ცსკა-ს ჰოკეისტთა გუნდში უკანასკნელ დროს მომხდარ ამბებს.

„სოვეტსკი სპორტი“ — 22 იანვარი. „ვის სჯობრდება ეს ჩემპიონი?“ სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი და ვერცხლის მედლის პრიზიორი დუნკან არმსტრონგი ავსტრალიის ყველაზე ცნობილი... უმუშევარია.

26 იანვარი. „ოლეგ რომანცევის დაბრუნება“. მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა გუნდის კრებაზე მთავარ მწვრთნელად აირჩიეს ოლეგ რომანცევი.

„სპორტპროგნოზი“

04 ტირაჟის პროგრამა (21-22 იანვარი)

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეიჯამა „სპორტპროგნოზის“ 04 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 21-22 იანვარს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 4.339.730 ვარიანტი. 13 შედეგი ვერავინ გამოიცნო. 12 შედეგის გამოცნობისთვის (20) მოგება 6.509 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (434) — 1.124 მანეთი.

04 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 11 თებერვლიდან 11 მაის ჩათვლით.

უცხოეთის ფეხბურთის ახალი ამბები

დასასრულს უახლოვდება წარსულის გამოჩენილ ფეხბურთელთა ტურნირი ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში პელეს თასზე. დიდი ინტერესი გამოიწვია არგენტინისა და იტალიის გუნდების შეხვედრამ. არგენტინელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0, ხოლო ურუგვაისა და ინგლისის ფეხბურთელთა მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 ურუგვაელთა სასარგებლოდ.

4 ტურის შემდეგ 7-7 ქულით დაწინაურდნენ ბრაზილიისა და ურუგვაის გუნდები.

ათენში გაიმართა პორტუგალიისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. ხანგრძლივი 2:1 გამარჯვება წილად ხვდა სტუმრებს.

პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია ექსპერიმენტულს უწოდებს ახლანდელ ნაკრებს, რომელმაც 15 თებერვალს თავის მინდორზე მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი უნდა გამართოს ბელგიის ნაკრებთან, ამ თამაშისთვის გუნდი საგანგებოდ ემზადება, მის შემადგენლობაში გამოცდილ ოსტატებთან ერთად გამოდიან ახალგაზრდები ჟორდაუ, სომედუ, პანეირა, სილვინუ. მწვრთნელებს მათი დიდი იმედი აქვთ.

უფასოდ მოინდომეს

სსრ კავშირის ჰოკეის ფედერაციამ თავის სხდომაზე მკაცრად შეაფასა მთელ რიგ საბჭოთა ჰოკეისტთა უღირსი საქციელი, რომელიც მათ ამასწინანდელ საზღვარგარეთულ ტურნეს დროს ჩაიდინეს. ათმა სპორტსმენმა, კერძოდ კი სვერდლოვსკელებმა ლუკიანოვმა, ზუევმა და დემენშინმა, ჩელიაბინსკელებმა გომოლიაკომ, საჭუკმა და სუხანოვმა, გორკელმა სოროკინმა, მოსკოვის სპარტაკელებმა ბარკოვმა და ჩისტიაკოვმა, აგრეთვე ვოსკრესენსკელმა ჩერვიაკოვმა სცადეს მაღაზიიდან საფასურის გადაუხდელად ნივთების გატანა.

ფედერაციის პრეზიდიუმმა წაყენება წინადადება ჰოკეისტების 18-თვიანი დისკვალიფიკაციის შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილება სსრ კავშირის სპორტსახკომმა უნდა გამოიტანოს.

„სპორტპროგნოზი“, მეექვსე ტირაჟის პროგრამა (4-5 თებერვალი)

		პროგნოზი		
სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში (უმაღლესი ლიგა)				
1. „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), ალმა-ათაში	4.II	70	20	10
2. „დინამო“ (ლვოვი) — „მოსკვიჩი“ აზლკ, ალმა-ათაში	4.II	50	10	40
3. „დინამო“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (კიევი), ალმა-ათაში	4.II	70	10	20
4. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი), ხარკოვში	4.II	10	10	80
5. კჸფ (ბაქო) — ცსკა ვმფ, ხარკოვში	4.II	20	10	70
6. სკ კჸფ (სევასტოპოლი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი), ხარკოვში	4.II	30	10	60
საფრანგეთის ჩემპიონატი ფეხბურთში				
7. „ტულუზა“ (ტულუზა) — „ნანტი“ (ნანტი)	4.II	70	10	20
გადასახვლელი ტურნირი შაიბით ჰოკეიში				
8. „ტორპედო“ (იაროსლავლი) — „სიბირი“ (ნოვოსიბირსკი), პირველი თამაში	5.II	80	10	10
9. „დინამო“ (ხარკოვი) — „ტორპედო“ (უსტ-კამენოგორსკი), პირველი თამაში	5.II	30	10	60
10. „ტორპედო“ (გორკი) — „ტორპედო“ (ტოლიატი), პირველი თამაში	5.II	80	10	10
11. ურიცკის სახ. სკ (ყაზანი) — „ხალავათ იულაევი“ (უფა), პირველი თამაში	5.II	40	10	50
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში				
12. „ბოლონია“ (ბოლონია) — „ფიორენტინა“ (ფლორენცია)	5.II	60	30	10
13. „იუვენტუსი“ (ტურინი) — „პესკარა“ (პესკარა)	5.II	70	20	10

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი აცხადებს კონკურსს

ვაკანტური ადგილების დასაკავებლად

— უფროსი მწვრთნელი ბეისბოლში — 1 ერთეული.

— უფროსი მწვრთნელი მაგიდის ჩოგბურთში — 1 ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება სპორტსახკომის თავმჯდომარის სახელზე და სათანადო საბუთები საქართველოს სპორტსახკომში უნდა წარადგინონ ორი კვირის ვადაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ᲐᲑᲝᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ერთობლივებისთვის — 33-00-00,
[illegible] ნინოშვილის ქ. 14,
განყოფილებების — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„შერანი“ — 99-97-26, „ბორცვი“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380008, თბილისი, ნინოშვილის ქ. 14. ობუეტურა წერილი გაგზავნილია კორპუსში: ბოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

უე 10339